პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნიზმის სხივი

1990 | 10 თებერვალი, შაბათი | №18 (6245) | ფასი 3 კაპ.

გაზეთი დაარსდა 1933 წლის 10 მაისს

საქართველოს კპ ცაგერის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

КОМУНИЗМИС СХИВИ орган Цагерского райкома КП Грузии и райсовета народных депутатов

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დაასახელეს დეპუტატობის კანდიდატი

თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მანქანა-ტრაქტორების ექსპლოატაციის კათედრის გამგე რევაზ მეთოდეს ძე მახარობლიძე, დაბადებული 1936 წელს, უმაღლესი განათლებით, სკკპ წევრი, საქართველოს ბიოქიმიკოსთა საზოგადოების კონფერენციამ წამოაყენა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქში.

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1990 წლის 5 თებერვალს მუშაობას განაგრძობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

შესვენების შემდეგ გრძელდებოდა კამათი.

პლენუმის მასალები სრულად ქვეყნდება გაზეთ „პრავდაში" და შინაარსი — მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში.

პლენუმზე შეიქმნა პარტიის 28-ე ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტის დამმუშავებელი და განსახილველ საკითხზე პლენუმის დადგენილების მომმზადებელი სარედაქციო კომისია.

* * *

6 თებერვალს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განაგრძო პარტიის 28-ე ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტისა და ამ საკითხზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენების განხილვა.

7 თებერვალს მოსკოვში მუშაობას განაგრძობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც დაამთავრა პარტიის XXVIII ყრილობისათვის ცენტრალური კომიტეტის პლატფორმისა და ამ საკითხზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენების განხილვა. რითაც პლენუმის მუშაობა დამთავრდა.

## კარგი ფინიშის საწინდარი

### ცაგერის კოლმეურნეობა

ცაგერის კოლმეურნეობის მშრომელებმა წლის პირველ კვარტალში 210 ცენტნერი რძე უნდა დაუმზადონ ქვეყანას. იბრძვია რა მიცემული დავალების შესრულებისათვის, იანვრის თვეში საზოგადოებრივი და საკარმიდამო მეურნეობებიდან სახელმწიფოს 93,4 ცენტნერი რძე მიყიდეს.

### ლაჯანის კოლმეურნეობა

ზამთრის დღეებში წველადობის ზრდის, მაღალპროდუქტიულობის შენარჩუნებისათვის იბრძვიან ლაჯანის კოლმეურნეობის მეცხოველეები, კოლმეურნეობასთან საიჯარო ურთიერთობაში ჩაბმული ოჯახები.

სწორედ ამან განაპირობა, რომ კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა იანვრის გეგმა. დამამზადებელ ორგანიზაციას პირველ თებერვლისათვის 31,5 ცენტნერი რძე და 20,7 ცენტნერი ხორცი ჩაბარდა, როცა წლის პირველ კვარტალში გეგმით 100 ცენტნერი რძე და 40 ცენტნერი ხორცი უნდა ჩააბარონ.

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება

### საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით

მეტად მნიშვნელოვანი და პასუხსაგები პერიოდი დადგა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში — მიმდინარეობს წინასაარჩევნო კამპანია. რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მომავალი არჩევნების მთავარ მიზნად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს სახელმწიფოებრივ მმართველობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრული სახალხო ძელისუფლებიანობისა და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა, მტკიცე ეროვნულ ნიადაგზე მდგომი, კომპეტენტური, პრინციპული, უმწიკვლო პარლამენტარების არჩევა მიაჩნია.

ნება-სურვილის თავისუფლად გამოხატვის ვითარებაში უნდა ავირჩიოთ ჭეშმარიტად სახალხო, შემადგენლობით თვისებრივად ახალი, მუდმივმოქმედი პარლამენტი, რომლის წინაშე უაღრესად აქტუალური ამოცანები დადგება — დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ეროვნული პრობლემების გადაწყვეტით უნდა მივაღწიოთ რესპუბლიკის რეალურ სუვერენიტეტს. ამ სტრატეგიული მიზნის მისაღწევად საჭიროა ხელისუფლების ორგანოების ფორმირების თვისებრივად ახალი პრინციპებისა და მიდგომის გამომუშავება.

ცენტრალურ კომიტეტს ღრმად სწამს, რომ ეროვნული განვითარების კონცეფცია, რომლის პროექტი საჯარო განხილვის შემდეგ მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, სრულად გამოხატავს რესპუბლიკის კომუნისტების პოზიციას, მისწრაფებას, ცხოვრებისეულ ინტერესებს და ამდენად იგი საქართველოს კომუნისტური პარტიის წინასაარჩევნო პლატფორმის საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ.

კონცეფციამ, ფაქტობრივად, უკვე მიიღო ხალხის, მთელი საზოგადოებრიობის ნდობის მანდატი. იგი საქართველოსა და მისი კომპარტიის დამოუკიდებლობის განმტკიცების მიმართულებით გადადგმულ პირველ სერიოზულ ნაბიჯად შეფასდა. რესპუბლიკის მშრომელთა უმრავლესობა იზიარებს საქართველოს სსრ სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის განხორციელების, მართვის სტრუქტურების დემოკრატიულ საფუძველზე გარდაქმნის, რესპუბლიკის მატერიალური და ინტელექტუალური პოტენციალის მაქსიმალური რეალიზაციის, სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფის წარმოდგენილ პროგრამას.

ამ პოლიტიკურ დოკუმენტში გარკვევით და ნათლად არის გამოხატული კონკრეტული ეროვნული მიზნები, რომელთა მიღწევასაც პარტიული ორგანიზაციები თავიანთ უპირველეს მოვალეობად და ვალდებულებად მიიჩნევენ: ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის სრულყოფა, ეკონომიკისა და ეკონომიკური კავშირების, სოციალური სფეროსა და სოციალური ურთიერთობის, დემოგრაფიული და ეკოლოგიური ვითარების, სახალხო განათლების სისტემის, მეცნიერებისა და კულტურის, ერთაშორისი ურთიერთობის, შიდაპარტიული მუშაობის გარდაქმნა.

ამავე დროს, მხედველობაში იღებს რა რესპუბლიკაში შექმნილ რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიტუაციას, სერიოზულ დაძაბულობას ეკონომიკაში, სოციალურ სფეროში და საკუთარ პასუხისმგებლობას შექმნილ ვითარებაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი თვლის, რომ მასების სწრაფი პოლიტიზაციისა და მათი სოციალური აქტიურობის ზრდის პირობებში, სახალხო დეპუტატთა არჩევნების წინა პერიოდში საჭიროა პირდაპირი, მართალი და გულახდილი პასუხი გაეცეს ყველაზე მტკივნეულ და საჭირბოროტო საკითხებს, რომლებიც დღეს აღელვებს ქართველ ხალხს, რესპუბლიკაში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს, ჩვენი საზოგადოების პროგრესულ ძალებს. პირველ რიგში ეს შეეხება რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურების გარდაქმნას, საკუთრივ პარტიის სტატუსს, მის როლსა და ადგილს განახლებულ, დემოკრატიულ საზოგადოებაში.

რესპუბლიკის კომპარტიის საქმიანობა დღეს ჰუმანური იდეალებისადმი მისი პროგრამის ადეკვატურობის საფუძველზე უნდა წარიმართოს. იგი უნდა გამოხატავდეს ეროვნულ და საზოგადოებრივ ინტერესებს, ითვალისწინებდეს პარტიული ორგანოების მუშაობის პრინციპების, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ სტრუქტურებში წარმომადგენლობის ფორმების, საინიციატივო საზოგადოებრივ მოძრაობებთან ურთიერთმოქმედების ძირეული გადასინჯვის აუცილებლობას, სრულად ჰქონდეს შეგნებული ხალხის, დღევანდელი და მომავალი თაობების წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობა. აქედან გამომდინარე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია:

დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს შესაქმნელად პოლიტიკური პლურალიზმის დამკვიდრება და კონსტიტუციიდან მეექვსე მუხლის ამოღება;

საქართველოს კომპარტია უნდა იყოს დამოუკიდებელი, ჰქონდეს საკუთარი სტატუსი, რათა მაქსიმალურად გაითვალისწინოს საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებანი;

გადაისინჯოს კომუნისტური პარტიის ამჟამად მოქმედი პროგრამის მთელი რიგი პრინციპული დებულებანი, რომლებიც არ შეესატყვისება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კიდეც ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების განვითარების დღეს უკვე მიღწეულ და პერსპექტიულ დონეს, არ ითვალისწინებს ობიექტურ რეალობებს, ეროვნულ ინტერესებს, რომლებიც უნდა ეფუძნებოდეს საერთო-საკაცობრიო ღირებულებებსა და იდეალებს;

აქტიურად შეუწყოს ხელი რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევას დიდნაყოფიერი შრომისათვის სათანადო სტიმულების შექმნის, დახვეწილი პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურობის უზრუნველყოფის, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის თვისებრივი გარდაქმნის გზით, ყველაფერი იღონოს სოციალური სამართლიანობის პრინციპების, ადამიანთა უფლებების საყოველთაო და განუხრელი დაცვისათვის.

საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობა გაიმართება 1990 წლის აპრილში. მან უნდა შეიმუშაოს საბოლოო გადაწყვეტილებანი ყველა საკითხზე, რომლებიც აღელვებთ რესპუბლიკის კომუნისტებს, მთელ საზოგადოებას, უპირველესად ეს უნდა შეეხოს თანამედროვე ეტაპზე პარტიის მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს.

ჩვენ ვემხრობით კონსტრუქციული პლურალიზმის იდეას, როცა ყოველ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, მოძრაობას, პიროვნებას ექნება უფლება არა მარტო გამოხატოს თავისი აზრი, არამედ ექნება იმის უფლებაც, რომ ხელისუფლების ორგანოებში წარმომადგენლობის გზით დაიცვას იგი. ჩვენ ყოველმხრივ შევუწყობთ ხელს, რომ რესპუბლიკაში სახალხო მმართველობასა და მომავალ პარლამენტარიზმს სწორედ ასეთი მიდგომა დაედოს საფუძვლად.

საქართველოს კომპარტია თავის წინასაარჩევნო პლატფორმას არ უპირისპირებს სხვა კონსტრუქციულ იდეებსა და პოზიციებს, თუკი ისინი გამოხატავენ რესპუბლიკის სრული სუვერენიტეტისაკენ მიმართულ ჭეშმარიტ საზოგადოებრივ ინტერესებს და ერთიანობისა და პროგრესის საქმეს ემსახურებიან. ჩვენ მზად ვართ ვეძებოთ ურთიერთ-

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის

# განცხადება

(დასასრული)

მისალები კომპრომისები ყველაზე რადიკალურ პოზიციებთანაც კი, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საერთო მიზნებს — უზრუნველვყოთ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზაცია, მაღალი შრომითი რიტმი, თავი ავარიდოთ ანარქიას, ქაოსს, მოვლენათა განვითარების სტიქიურობას.

საზოგადოებრიობა დასახელებული დეპუტატობის კანდიდატებისაგან ელის არა მარტო დაპირებებს, არამედ რეალურ, კონკრეტულ მოქმედებას, რომელიც ხალხის კეთილდღეობის სწრაფი გაუმჯობესების, ეროვნული ერთიანობისა და შეკავშირების, საქართველოს თავისუფალი და მშვიდობიანი განახლების საქმეს ემსახურება.

საქართველოს კომპარტია თავის წარმომადგენლებისაგან, საერთო საფუძველზე დასახელებული დეპუტატობის კანდიდატებისაგან სწორედ ასეთ მიდგომას მოითხოვს. ეს კი გამორიცხავს სწრაფვას სიმართლის ყოველგვარი მონოპოლიზაციისაკენ და განსხვავებულად აზროვნების მიუღებლობას, ყოველგვარ ბრძოლაში, დიალოგში, ოპონირებასა თუ პარტნიორობაში ამკვიდრებს მხოლოდ მაღალ ზნეობრივ კრიტერიუმებსა და ჰუმანისტურ იდეალებს.

ამომრჩევლები, უეჭველია, ხმას მისცემენ დეპუტატობის იმ კანდიდატებს, რომლებიც ეროვნული განვითარების პროგრამასთან ერთად, პასუხისმგებლობით მოეკიდებიან საქართველოში მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენელთა უფლებების დაცვას, მათი კულტურის, ენის, ეროვნული თავისებურებების, ეროვნული სამართლიანობის, მეგობრობისა და ურთიერთგაგების ძირძველი ტრადიციების განმტკიცების პრობლემებს.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ შეუწყნარებელია პიროვნების ან მისი წინასაარჩევნო პროგრამის დისკრედიტაცია მხოლოდ იმის საფუძველზე, თუ რომელ პოლიტიკურ პლატფორმაზე დგას კანდიდატი. თანამდებობრივი და სოციალური მდგომარეობა კი არა, კომპეტენტურობა, ზნეობრიობა, პატრიოტიზმი, ეროვნული ინტერესები, აგრეთვე, რადიკალური დემოკრატიული გარდაქმნების იდეალების მხარდაჭერა უნდა იყოს კანდიდატებისადმი ჩვენი დამოკიდებულების კრიტერიუმი, თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების საფუძველი.

ჩვენ გულწრფელად გვსურს, რომ ეს პოზიცია გაიზიარონ იმათაც, ვინც დღეს არჩევნებს ბოიკოტისათვის მოუწოდებს, ვინც ცდილობს ნდობა შეურყიოს საქართველოს კომპარტიის წევრებს. ეს გზა ჩვენ ეროვნულ თანხმობასა და კონსოლიდაციასთან ვერ მიგვიყვანს.

ამასთანავე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, იმას, რომ ტოტალურ-რეპრესიული, ასევე მბრძანებლურ-ადმინისტრაციული და უძრაობის სისტემების მანკიერებანი გააშიშვლა სწორედ პარტიის მიერ დაწყებულმა გარდაქმნის პროცესებმა. პარტიის განახლება და გაწმენდა ხომ საჯაროდ, მთელი საზოგადოების თვალწინ მიმდინარეობს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აცხადებს, რომ უფრო ენერგიულად განთავისუფლდება პარტიის რიგებს მიტმასნილი ბიუროკრატების, მექრთამეების, საქმოსნების, კორუფცირებული ელემენტებისაგან, უფრო ინტენსიურად განაგრძობს თვითგანახლებისა და სრულყოფის პროცესს. მაგრამ თვითგანწმენდა მხოლოდ პარტიას როდი სჭირდება. განწმენდა და კრიტიკული თვითანალიზი ესაჭიროება მთელ საზოგადოებრივ ორგანიზმს, ყველა მის ოფიციალურ და არაოფიციალურ სტრუქტურას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველ ჩვენგანს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ ჩვენს ძალებში, გარდაქმნათა შეუქცევადობაში, საქართველოს წინაშე მდგომი ამოცანების უთუო შესრულებაში, რადგან რესპუბლიკის კომუნისტთა უმრავლესობა, რომლებიც წარმოადგენენ მუშებს, გლეხებს, სამეცნიერო და შემოქმედებითს ინტელიგენციას, სტუდენტობას, — პატიოსანი, მშრომელი, თავდადებული ადამიანები არიან, რომლებსაც არა აქვთ სხვა მიზანი, გარდა რესპუბლიკის ყოველი მოქალაქის ჰარმონიული, თავისუფალი განვითარებისა, რესპუბლიკის სრული სუვერენიტეტის მიღწევისა, დღევანდელი და მომავალი თაობების მატერიალური კეთილდღეობის და სულიერი სრულყოფილებისა, მათი ბედნიერებისა.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ მომავალი არჩევნები სწორედ ამ ამოცანის განხორციელებას შეუწყობს ხელს. ჩვენი განვითარების პერსპექტივა დიდად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ჩამოვაყალიბებთ ხელისუფლების ორგანოებს.

სწორედ ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მიმართავს რესპუბლიკის ყველა ამომრჩეველს მთელი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით მოეკიდონ ამ მნიშვნელოვან მოვლენას. არჩევნებში მხოლოდ ამაღლებული იდეალების და ჭეშმარიტი ეროვნული პოზიციებიდან აქტიური და დაინტერესებული მონაწილეობა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება გარდაქმნის, კონსოლიდაციის, თანამშრომლობისა და გაერთიანების, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის გზაზე.

**მიღებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე 1990 წლის 31 იანვარს.**

# სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის

# გადაწყვეტილება

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნის შესახებ

### ლასურიაშის საარჩევნო უბანი №19

**მესხაძე გულნაზ ვალიკოს ასული**—ბუღალტერი, ლასურიაშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**მუშკუდიანი ლია ანზორის ასული**—ლასურიაშის კულტურის სახლის დირექტორი, ლასურიაშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**მუშკუდიანი ანზორ ალექსანდრეს ძე**—კოლმეურნე, ლასურიაშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**მუშკუდიანი ნინო შოთას ასული** — პიონერთა სახლის ორგანიზატორი, საქართველოს სახალხო ფრონტის ლეჩხუმის რეგიონალური ორგანიზაციისაგან.

**კანაჩაძე რაფიელ სერგოს ძე**—ლასურიაშის კოლმეურნეობის აგროუბნის აგრონომი, ლასურიაშის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

**ნემსწვერიძე დავით ალფეზის ძე**—კოლმეურნე, ლასურიაშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**ნებიერიძე თინათინ ვლადიმერის ასული**—ლასურიაშის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ლასურიაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან.

(დასაწყისი, გაზეთ „კომუნიზმის სხივი" №17).

**სვანიძე ფოთოლა დიმიტრის ასული**—ლასურიაშის საშუალო სკოლის დამლაგებელი, ლასურიაშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ცხვედიანი გერონტი ზაქარიას ძე**—პენსიონერი, ლასურიაშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ხეცურიანი დემურ ქრისტეფორეს ძე**—ლასურიაშის კოლმეურნეობის ეკონომისტი, ლასურიაშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**ხვადაგიანი დავით დომენტის ძე**—ლასურიაშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, ლასურიაშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

### დეხვირის საარჩევნო უბანი №20

**ახვლედიანი ჟორა ვიტალის ძე**—ლასურიაშის კოლმეურნეობის დეხვირის აგროუბნის აგრონომი, ლასურიაშის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

**ბენდელიანი გრიგოლ ლუარსაბის ძე**—კოლმეურნე, ლასურიაშის ტერიტორიული პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

**სილაგაძე ლეილა გრიგოლის ასული**—სოფელ ლესინდის სასოფლო კლუბის გამგე, ლასურიაშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**სილაგაძე კუჭიკო გრამიტონის ძე**—კოლმეურნე, ლასურიაშის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

**ჭაბუკიანი აზა გრიგოლის ასული**—სოფელ დეხვირის ბიბლიოთეკის გამგე. ლასურიაშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ჭაბუკიანი დიომიდე სამსონის ძე**—კოლმეურნე, ლასურიაშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**ჭაბუკიანი რამაზ ჯუმბერის ძე**—კოლმეურნე, ლასურიაშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**ჭაბუკიანი შოთა ილიას ძე**—კოლმეურნე, ლასურიაშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**ნემსწვერიძე მანანა დიომიდეს ასული**—ლასურიაშის საექიმო უბნის გამგე, საქართველოს სახალხო ფრონტის ლეჩხუმის რეგიონალური ორგანიზაციისაგან.

### ჩხუტელის საარჩევნო უბანი №21

**ახვლედიანი რეზო მექის ძე**—კოლმეურნე, ჩხუტელის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**ეფაძე ავთანდილ მიხეილის ძე**—ჩხუტელის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი, ჩხუტელის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

**თვარაძე გალაქტიონ ერმილეს ძე**—კოლმეურნე, ჩხუტელის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**კვირკაშვილი ჯუმბერ ევგენის ძე** —კოლმეურნე, ჩხუტელის კოლმეურნეობის პროფკავშირული ორგანიზაციისაგან.

**კვირკაშვილი ნაილი ნოდარის ასული**—ბუღალტერი, ქვედა ცაგერის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**მეშველიანი ვალიკო ვასილის ძე**—კოლმეურნე, ჩხუტელის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

**მეშველიანი ნინო ჟორას ასული**—კოლმეურნე, ჩხუტელის კოლმეურნეობის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციისაგან.

**მეშველიანი ბადრი აკაკის ძე**—ქალაქის ცენტრალური ბიბლიოთეკის მხატვარი, საქართველოს სახალხო ფრონტის ლეჩხუმის რეგიონალური ორგანიზაციისაგან.

**მანდარია მთვარისა მექის ასული**—სასოფლო კლუბის გამგე, ქვედა ცაგერის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ქარსელაძე ბიძინა სამსონის ძე** — კოლმეურნე, ჩხუტელის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**ჭიჭინაძე ციცო სამსონის ასული**—მეღდა, ჩხუტელის საბავშვო ბაღის შრომითი კოლექტივისაგან.

### ქალაქ ცაგერის საარჩევნო უბანი №22

**ახვლედიანი მზია ზურაბის ასული**—მთავარი ინჟინერი, ადგილმრეწველობის კომბინატის შრომითი კოლექტივისაგან.

**ბენდელიანი თამაზ რუბენის ძე**—მთავარი ინჟინერი, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს შრომითი კოლექტივისაგან.

**გუგავა ელგუჯა შარდენის ძე**—რაიკოოპერატივის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, რაიკოოპერატივის შრომითი კოლექტივისაგან.

**კვირკაშვილი გენადი გრიშას ძე** — სამუშაოთა მწარმოებელი, საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციის შრომითი კოლექტივისაგან.

**ლარცულიანი სოზარ ჟორას ძე** — საქართველოს ალკკ ცაგერის რაიკომის მდივანი, საქართველოს ალკკ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

**ლარცულიანი ბორის ბიქტორის ძე**—კარდიოლოგი, რაიონული საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**მუშკუდიანი მიხეილ ფილიპეს ძე** — სამოქალაქო თავდაცვის სამობილიზაციო სამსახურის ინსპექტორი, კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის შრომითი კოლექტივისაგან.

**მინდაძე იუზა ლალაკოს ძე**—ეკონომისტი, აგრომრეწვბანკის ცაგერის რაიონული განყოფილების შრომითი კოლექტივისაგან.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნის შესახებ

(დასასრული).

**მამარდაშვილი ბორის დავითის ძე** — უფროსი ინჟინერი, №23 საგზაო სამმართველოს შრომითი კოლექტივისაგან.

**სალინაძე თინა გრიგოლის ასული** — მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების განყოფილების გამგე, კულტურის განყოფილების მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ხეცურიანი ჯუმბერ არტემის ძე** — მძღოლი, ავტოსატრანსპორტო საწარმოს შრომითი კოლექტივისაგან.

**ხმელიძე ია გურამის ასული** — გაზეთ „კომუნიზმის სხივის“ კორესპონდენტი, საქართველოს სახალხო ფრონტის ლეჩხუმის რეგიონალური ორგანიზაციისაგან.

**ხეცურიანი ლია ინდისის ასული** — მუშა, სასურსათო კომბინატის შრომითი კოლექტივისაგან.

### ქვედა ცაგერის საარჩევნო უბანი №23

**ბენდელიანი თამაზ გრიშას ძე** — კოლმეურნე, ცაგერის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**კოპალიანი ნათელა შარდენის ასული** — ქვედა ცაგერის სასოფლო კლუბის გამგე, ქვედა ცაგერის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**კოპალიანი შოთა ვარლამის ძე** — მაღაზიის გამგე, ქვედა ცაგერის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**კოპალიანი კობა ჰიჭიკოს ძე** — ცაგერის კოლმეურნეობის ფიზკულტურის მეთოდისტი, ცაგერის კოლმეურნეობის პროფკავშირული ორგანიზაციისაგან.

**სადილიანი ნანული ამბროსის ასული** — ცაგერის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი, საქართველოს სახალხო ფრონტის ლეჩხუმის რეგიონალური ორგანიზაციისაგან.

**სალინაძე ირა მიხეილის ასული** — ცაგერის კოლმეურნეობის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე, ცაგერის კოლმეურნეობის პროფკავშირული ორგანიზაციისაგან.

**სალინაძე ზაური იონას ძე** — კოლმეურნე, ცაგერის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**შკუბულიანი გელა მიხეილის ძე** — ცაგერის კოლმეურნეობის მთავარი ბუღალტერი, ცაგერის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

**შკუბულიანი გრიშა ზოსიმეს ძე** — კოლმეურნე, ცაგერის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**ჩორგოლიანი თემურ სოკრატის ძე** — ქვედა ცაგერის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი, ცაგერის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

**ჩახულიანი ირაკლი ამირანის ძე** — კოლმეურნე, ცაგერის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციისაგან.

**ჩხეტიანი ლუიზა გრიგოლის ასული** — ცაგერის კოლმეურნეობის მოლარე-მოანგარიშე, ცაგერის კოლმეურნეობის პროფკავშირული ორგანიზაციისაგან.

**ჩიქოვანი მირიან ალექსის ძე** — ცაგერის კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, ცაგერის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციისაგან.

### ლუხვანოს საარჩევნო უბანი №24

**კოპალიანი ჰიჭიკო პლატონის ძე** — მასწავლებელი, რუსთაველის სახოგადოების ლუხვანოს არასრული საშუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან.

**კოპალიანი დემურ არტემის ძე** — კოლმეურნე, ცაგერის კოლმეურნეობის ლუხვანოს აგროუბნის კოლმეურნეებისაგან.

**კოპალიანი რამაზ რაფიელის ძე** — საფინანსო განყოფილების გამგე, საქართველოს სახალხო ფრონტის ლეჩხუმის რეგიონალური ორგანიზაციისაგან.

**ლეთოდიანი მაყვალა ვასილის ასული** — ბუღალტერი, ლუხვანოს სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ლეთოდიანი გურამ გრიგოლის ძე** — კოლმეურნე, ცაგერის კოლმეურნეობის ლუხვანოს აგროუბნის კოლმეურნეებისაგან.

**მუკვანი ნელი ნიკოლოზის ასული** — ლუხვანოს საბავშვო ბაღის გამგე, ლუხვანოს სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**სალინაძე ჯოტო ანტონის ძე** — კოლმეურნე, ცაგერის კოლმეურნეობის ლუხვანოს №4 საბრიგადო პარტიული ორგანიზაციისაგან.

**სალინაძე ამირან ჟორას ძე** — კოლმეურნე, ცაგერის კოლმეურნეობის ლუხვანოს აგროუბნის კოლმეურნეებისაგან.

**ხაბულიანი ვლადიმერ ბახუს ძე** — კოლმეურნე, ცაგერის კოლმეურნეობის ლუხვანოს №4 საბრიგადო პარტიული ორგანიზაციისაგან.

### წიფერჩის საარჩევნო უბანი №25

**ბენიძე ლეილა ვანოს ასული** — წიფერჩის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე, წიფერჩის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**გელენიძე ნუნუ დავითის ასული** — დამლაგებელი, წიფერჩის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**მეშველიანი ნანული სერგოს ასული** — დამტარებელი, წიფერჩის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**მუკბანიანი მურად ვარლამის ძე** — კოოპერატივ „მშენებლის“ თავმჯდომარე, საქართველოს სახალხო ფრონტის ლეჩხუმის რეგიონალური ორგანიზაციისაგან.

**თუთისანი ჟორა დომენტის ძე** — აგრონომი, წიფერჩის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**თუთისანი ბორის გერონტის ძე** — ბუღალტერი, წიფერჩის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**ცხვედიანი გიორგი ვალერიანის ძე** — წიფერჩის კოლმეურნეობის მოანგარიშე, წიფერჩის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**ფუტკარაძე ლია ოთარის ასული** — კოლმეურნე, წიფერჩის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**ხეცურიანი მურთაზ კოსტას ძე** — კოლმეურნე, წიფერჩის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

### ჩქუმის საარჩევნო უბანი №26

**დავითულიანი მარინე რუბენის ასული** — ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან.

**თუთისანი ბადრი ალექსანდრეს ძე** — ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან.

**თუთისანი ლალი გურამის ასული** — ჩქუმის საბავშვო ბაღის გამგე, წიფერჩის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**კოპალიანი პეტრე ვლადიმერის ძე** — კოლმეურნე, წიფერჩის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**ლიპარტელიანი უჩა სამსონის ძე** — კოლმეურნე, წიფერჩის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**სვანიძე ნონა კაპიტოს ასული** — კოლმეურნე, წიფერჩის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

**ჩიკვაიძე გულნაზი ვასილის ასული** — ჩქუმის საბებიო საფერშლო პუნქტის გამგე, წიფერჩის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

### ზუბის საარჩევნო უბანი №27

**ბენიძე გიგლა ინდიკოს ძე** — უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა, უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ზუბის აგროუბნის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**მამარდაშვილი ნოე ნოეს ძე** — ზუბის პურის საცხობის გამგე, ზუბის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ომანაძე დუგლას ვალიკოს ძე** — კავშირგაბმულობის ზუბის განყოფილების ელმექანიკოსი, ზუბის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ომანაძე ნანული ინდიკოს ასული** — ზუბის სასოფლო საბჭოს ბუღალტერი, ზუბის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ბენიძე ბორის მიხეილის ძე** — მასწავლებელი, ზუბის საშუალო სკოლის პროფკავშირული ორგანიზაციისაგან.

**ომანაძე იური ინდიკოს ძე** — მაღაზიის გამგე, ზუბის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ომანაძე დარეჯან ბიჭიკოს ასული** — მუშა, უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ზუბის აგროუბნის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ყურაშვილი ავთანდილ ჯოკიას ძე** — მუშა, უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ზუბის აგროუბნის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ჩაკვეტაძე ვარლამ ალიმის ძე** — ზუბის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ზუბის საშუალო სკოლის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

### ისუნდრის საარჩევნო უბანი №28

**ამბროლიანი ვენერა გრიგოლის ასული** — მახურის სასოფლო კლუბის გამგე, ზუბის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ბანძელაძე ზურაბ გიგას ძე** — ისუნდრის მაღაზიის გამგე, ზუბის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**გაბადაძე ოლია მელიტონის ასული** — მასწავლებელი, ისუნდრის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან.

**კუხალაშვილი მურად კაპიტოს ძე** — მუშა, უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**სალინაძე თამარ ნესტორის ასული** — ისუნდრის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე, ზუბის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ქურციკიძე თინა თადეოზის ასული** — მასწავლებელი, ისუნდრის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან.

**ჩაკვეტაძე ქეთინო ოთარის ასული** — ისუნდრის არასრული საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი, ისუნდრის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან.

### ოყურეშის საარჩევნო უბანი №29

**აკობიძე აზა ჟორას ასული** — ოყურეშის საშუალო სკოლის საქმეთა მმართველი, ოყურეშის საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან.

**გოლეთიანი ბორის სეითის ძე** — უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ოყურეშის აგროუბნის მმართველი, უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ოყურეშის აგროუბნის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ეფაძე ბესარიონ იოსების ძე** — მუშა, უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ოყურეშის აგროუბნის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**მამარდაშვილი რომან ვლადიმერის ძე** — ოყურეშის სასოფლო საბჭოს მოლარე-მოანგარიშე, ოყურეშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**მუშკუდიანი გაიოზ ჟორას ძე** — მონტიორი, ოყურეშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**უგრეხელიძე ლამზირა მურთაზის ასული** — ოყურეშის ბიბლიოთეკის გამგე, ოყურეშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ყურაშვილი აკაკი გერასიმეს ძე** — მუშა, უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ოყურეშის აგროუბნის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ყურაშვილი ჟორა პიმენის ძე** — მუშა, უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ოყურეშის აგროუბნის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**ყურაშვილი მზია ვაგნერის ასული** — ოყურეშის საშუალო სკოლის მუსიკის მასწავლებელი, ოყურეშის საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან.

სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომის
თავმჯდომარე: **დ. ი. სვანიძე.**

სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომის
მდივანი: **ნ. ჯ. ტვილდიანი.**

ქ. ცაგერი. 7 თებერვალი, 1990 წელი.

# უძღები შვილის კვირა

## ეპისკოპოს ზოსიმეს ქადაგებანი

ქრისტეს მიერ საყვარელნო ქართველნო!

ხვალინდელ დღეს 11 თებერვალს ეკლესია კიდევ ერთხელ იხსენებს სახარებისეულ იგავს უძღები შვილის შესახებ, რაც ბევრ სასიკეთოს გვასწავლის ჩვენ—მართლმორწმუნე ქრისტიანებს.

ერთ პატიოსან და მდიდარ კაცს ჰყავდა ორი ვაჟი, რომლებიც სიყვარულითა და სიამტკბილობით ცხოვრობდნენ მშობელი მამის სამყოფელში. გავიდა ხანი და უმცროსმა შვილმა მოსთხოვა მამას თავისი კუთვნილი წილი მთელი მათი სამკვიდრებლიდან, რათა გასულიყო ცალკე და ეცხოვრა ისე, როგორც მას მოესურვებოდა. მამამ გამოუყო მას ქონების დიდი ნაწილი, შვილმა თავისი კუთვნილი ქონებით დატოვა სახლი და წავიდა შორეულ მხარეს. იქ მან იწყო არაწმინდა და უწესო ცხოვრება და მოკლე დროში განაბნია ყოველი ქონება თავისი, ისე გაღარიბდა და გალატაკდა, რომ შიმშილისაგან თავის დასაღწევად ერთ შეძლებულ კაცს დაუდგა მოჯამაგირედ, ღორების მომვლელად და საზრდოობდა იმ უვარგისი საკვებით, რომლითაც ღორებს კვებავდნენ. ბოლოს, როდესაც ძალზე მძიმე დღეში ჩავარდა, მოვიდა გონს, ჩაუფიქრდა თავის მდგომარეობას, მიხვდა სადამდე მიიყვანა იგი უწესო ცხოვრებამ და უთხრა თავის თავს. რამდენი მოჯამაგირე ჰყავს მამაჩემს, რომელთაგან საჭმელი არავის აკლია, მე კი აქ შიმშილით ვკვდები, მოდი წავალ მამაჩემთან და ვეტყვი: „მამაო, ვცოდე როგორც ღვთის წინაშე, ისე შენთან, მე შენ შვილად წოდების ღირსიც კი აღარ ვარ, ამიტომ გთხოვ მიმიღო, როგორც ერთი მსახურთაგანი შენი".

მართლაც მიატოვა ის ადგილი და მამის სახლისაკენ გასწია. სახლთან მიახლოებული არც კი იყო, რომ მამამისმა შეიტყო მისი დაბრუნება. გახარებული გამოეგება, მოეხვია და გულში ჩაიკრა. შვილმა კი მდაბლად მოახსენა: „მამაჩემო, ვცოდე როგორც ღვთის წინაშე, ისე შენთან. მე შენ შვილად წოდების ღირსიც კი აღარ ვარ. ამიტომ გთხოვ მიმიღო, როგორც მსახური შენი".

შვილის დაბრუნებით დიდად გახარებულმა მამამ უბრძანა მოსამსახურეებს, რომ შეემოსათ იგი ახალი სამოსელით და ძვირფასი ბეჭედიც გაეკეთებინათ მისთვის. შემდეგ დაუკლა ზვარაკი, მოიპატიჟა ახლობლები და დიდი ლხინი გამართა. იმ დროს უფროსი ვაჟი სახლში არ იმყოფებოდა, როცა დაბრუნდა და იხილა დიდი მხიარულება საკუთარ სახლში, ჰკითხა ერთ მოსამსახურეს მიზეზი და როდესაც შეიტყო რაშიც იყო საქმე, გაწყრა და სახლში აღარ უნდოდა შესვლა. გამოვიდა მამა და სთხოვა შესვლა ლხინში, ხოლო მან უპასუხა: „მე ყოველთვის შენთან ვიყავი, კეთილად გემსახურებოდი და ერთხელად არ მოგიცია ერთი თიკანიც კი, რომ ჩემს მეგობრებთან მომელხინა, ხოლო ჩემს ძმას, რომელმაც მთელი შენი ქონების ნახევარი უწესო ხალხს შეაჭამა, ზვარაკი დაუკალი და ლხინი გადაუხადე". მამამ უპასუხა შვილს: „შვილო შენ მუდამ ჩემთან ხარ და ჩემი ყოველი შენი არის, ახლა კი გვმართებს მხიარულება და სიხარული, რადგან ძმა შენი დაგვიბრუნდა, დაღუპული იყო და აღსდგა მკვდრეთით".

ახლა ძვირფასნო, შევეცადოთ ავხსნათ ზემოთაღნიშნული იგავი უძღები შვილისა. კაცი, რომელსაც ორი შვილი ჰყავდა; გამოხატავს უფალ ღმერთს, უფროსი შვილი მართალ და ღვთისმოშიშ კაცს განასახიერებს, რომელიც მუდამ მამის სამყოფელშია და ასრულებს მის ნება-სურვილს, უმცროსი შვილი კი თავისი მოქმედებით გამოხატავს ცოდვილი და დაბალი ადამიანის ცხოვრებას. ასეთი ადამიანი, როგორიც უძღები შვილი, მიიღებს რა ღვთისაგან საჭირო ნიჭსა და გონებას, სიკეთესა და სიმდიდრეს, განეშორება ზეციურ მამას და შორდება რა ამ უკანასკნელს, ვარდება უბედურებაში, და ყოველივეს მამისაგან მიცემულს—სულს, ხორცსა და სხვა სიკეთეს—ერთიანად ღუპავს. ღორების მსახურად დადგენა უძღები შვილისა, მოასწავებს უკიდურეს დაცემას და გადაგვარებას ცოდვილი ადამიანისას, რომელიც ისე დაემონება ცოდვას, რომ ემსგავსება უწმინდურ პირუტყვს. მაგრამ ბოლოს უძღები შვილი მოდის გონს, უფიქრდება თავის უმძიმეს მდგომარეობას, უწესო ცხოვრებით მოპოვებულს და მწარე სინანული ეუფლება მას. მართლაც და ძვირფასნო, ცოდვა მხოლოდ იქამდე ბატონობს ადამიანზე, ვიდრე კაცს შეუძლია საკუთარი სინდისის ჩაკვლა, დამარცხება, ამაოა კაცის ცდა სინდისის სრულიად დავიწყებისა, რადგან ეს გრძნობა მას დაბადებიდანვე დაყვება, უფლის მიერ. ამაოა ფიქრი იმისა, რომ ხორციელი ვნება და გართობა დააკმაყოფილებს მას და დაივიწყებს სინდისს და დაავიწყებს ღმერთს — სიწმინდესა და პატიოსნებას. ადრე თუ გვიან დგება ჟამი, როცა ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი სული კაცისა იგრძნობს მოწყენილობასა და მწუხარებას, სულიერ შიმშილს, რომელსაც ვერავითარი ქვეყნიური სიამოვნებით ვერ იკმაყოფილებს. მართალია ზოგჯერ ხდება ისეც, რომ ცოდვა მცირე ხანს თითქოს ამხიარულებს კაცს, მაგრამ ძალზე მცირე ხანს, რის შემდეგაც ადამიანებში ნაცვლად სიამოვნებისა ტოვებს მწარე სინანულსა და სევდას. აქ მართებს გონიერება კაცს—მან უნდა გაახსენოს თავს ღვთის არსებობა, ღვთისა, რომელსაც შეუძლია შეიწყნაროს, უმკურნალოს და დაუბრუნოს დაკარგული სიმშვიდე და ნეტარება.

შენც ადამიანო, თუ დღემდე ცოდვაში იყავი გარეული, დაუტევე იგი და მოიქეც უფლისადმი. იგი ყოველთვის მზადაა შენს მისაღებად. ნუ გეშინია, უფალი მოწყალეა, იგი მიგიღებს სიყვარულით, გულში ჩაგიკრავს და გიპატრონებს. შეგმოსავს ახალი სამოსლით, შეგაცმევს ძვირფას ბეჭედს, შერიგებისა და ღირსების ნიშნად. უფალიცა და ზეცის უსხეულო ანგელოზნიც დიდად გაიხარებენ შენი მოქცევით ღვთისადმი.

რაც შეეხება უფრო ძმას, იგი გვაგონებს იმ ღვთისმოყვარე ქრისტიანს, რომელიც კეთილად ასრულებს ღვთის მცნებებს, მუდამ ღვთის სამსახურშია და ყველაფერს ითმენს მისი სიყვარულისათვის. მაგრამ ოდესღაც თავის გულში იფიქრებს: ღმერთო მე მუდამ შენ გმსახურებდი, ვიცავდი შენს მცნებებს, ნუგეში კი არ მოგიცია ჩემთვის. თუ საყვარელნო, ღვთისმოყვარე კაცს მართლაც გაუჩნდება ასეთი აზრი, მაშინვე მან უნდა გაიხსენოს მამის პასუხი: „შვილო შენ მარადის ჩემთან ხარ და ჩემი ყოველი შენი არის". აი ნუგეში დიდი [illegible] თუ ქვეყნიური ცხოვრებისას მოკლებული ხართ ნუგეშსა და დახმარებას ხილულს, იცოდეთ, რომ უფალი ღმერთი დიდ წყალობას გიმზადებს, მარადიულსა და უხვს. ნუ აჩქარდები, წარმავალ ქვეყნიურ სიკეთეს ყოველთვის ამჯობინე მარადიული, ზეციური სიხარული.

ესეც გახსოვდეს ადამიანო, რომ ამქვეყნიური ცხოვრება უდიდესი წყალობაა ღვთისა, რომელსაც, სამწუხაროდ, ხშირად უაზროდ და უსარგებლოდ ვატარებთ ხოლმე. ადამიანი სიხარულისა და სიყვარულისთვისაა გაჩენილი და არა მწუხარებისათვის. ბედნიერი და გახარებული კი მაშინაა კაცი, როცა ღმერთთანაა ახლოს, რადგან ღმერთი თვითონაა სიხარულიცა და სიყვარულიც.

ამისათვის, საყვარელნო, ნუ განვეშორებით უფალს, მარადის ვმსახურებდეთ და ვმორჩილებდეთ მას და აღვასრულოთ მცნებანი მისნი, რომ მოვიპოვოთ საუკუნო სიხარული მართალთათვის განმზადებული უფლის მიერ, რომლისა არის სიმტკიცე და სუფევა, უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

**+მამა ილია (ხეცურიანი),**
ლენტეხის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის წინამძღვარი. ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის მღვდელმსახური.

## ჰავა, წელიწადის დრო და ჯანმრთელობა

ნორმან როზენტალმა (ფსიქიკურ დაავადებათა ეროვნული ინსტიტუტი, მერილენდის შტატი) აღნიშნა, რომ ზომიერი ჰავის ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით ოთხი პროცენტი სეზონურ დეპრესიას განიცდის.

ნებისმიერად შედგენილი ჯგუფის 416 სრულასაკოვანიდან 18 აღნიშნავდა ზამთრის დეპრესიის მუდმივ სიმპტომებს, ხოლო სამი ადამიანი—ზაფხულის დეპრესიის სიმპტომებს.

სეზონური დეპრესიის სიმპტომებს მიეკუთვნება განწყობილების მკვეთრი გაუმჯობესება, მძინარობა, გადაჭარბებული ჭამა და მიდრეკილება ფქვილეულის ნაწარმისადმი.

ზაფხულის სეზონური დეპრესიის პიკი მოდის ივლის-აგვისტოზე, და მას ახასიათებს ისეთი სიმპტომები, როგორიცაა: აგზნებულობა, უძილობა და მადის დაკარგვა.

სეზონური დეპრესიის შემთხვევათა ყველაზე დიდი რიცხვი შეინიშნება 21-40 წლამდე ასაკის ქალებში.

56 კაცმა აღნიშნა სეზონური დეპრესიის უფრო სუსტი, მაგრამ შესამჩნევი სიმპტომები.

ფსიქიატრთა აზრით სეზონური დეპრესია იზოლირებული დაავადება კი არ არის, არამედ სერიაა სიმპტომებისა, რომლებიც აღენიშნებათ სხვა სახეობის დეპრესიის მქონე ადამიანებს.

## გილოცავთ

**მთვარისა ახვლედიანს**

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

ბარდნალის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეები.

**ნარგიზა მიხეილის ასულ ბრეგვაძეს**
**იური დავითის ძე ხაბულიანს**

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაიზარდოს ჯანმთრელი და ბედნიერი. შემატებოდეს მრავალი და-ძმა.

ცაგერის პროფტექნიკური სასწავლებლის კოლექტივი.

---

კულტურის სახლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქეთინო ლიპარტელიანს მამიდის

**ნადია სამსონის ასული ლიპარტელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

საირმის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ნონა ძნელაძეს დის

**ლენა ძნელაძის**

გარდაცვალების გამო.

---

უჩა, ნოდარ ლიპარტელიანები, ქორა ფირცხალავა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნადია სამსონის ასული ლიპარტელიანი-მიქაძე.**

---

ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ გულიკო გიორგობიანს დედამთილის

**მინა გიორგობიანის**

გარდაცვალების გამო

---

რუბენ კოპალიანი, აქსენტი მინდაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გედეონ თეოფანეს ძე ნემსწვერიძე.**

---

ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ბიბლიოთეკების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ძაძუ და რუბენ კოპალიანებს სიძისა და ქვისლის

**გედეონ ნემსწვერიძის**

გარდაცვალების გამო.

---

**რედაქტორი**
**ნ. ნემსაძე.**

---

კულტურის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ძაძუ და რუბენ კოპალიანებს სიძის

**გედეონ თეოფანეს ძე ნემსწვერიძის**

გარდაცვალების გამო

---

კავშირგაბმულობის ლაჯანის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ინეზა და რეზო გიორგობიანებს მამის

**გრიგოლ გიორგობიანის**

გარდაცვალების გამო

ჩვენი მისამართი: 384106 ცაგერი. ლენინის ქ. №58. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3[illegible], განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,

გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 1 ინდექსი 66539, ტირაჟი 4461

საქართველოს სსრ ბეჭვდითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.